



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 21 მაისი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 18:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"- ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
3. ნაზი ჯანუაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
7. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
8. ნათია აბრამია - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
9. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის ჯგუფების მუშაობის საკითხზე. თანაკოორდინატორებმა მოკლედ მიმოიხილეს თითოეული ჯგუფის მიერ უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები.

2013 წლის 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პირველ ჯგუფის წევრების ინიციატივით მომზადდა განცხადება, რომელიც დაგზავნილია ჯგუფში და მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება. ჯგუფის წევრების მიერ მხარდაჭერილი განცხადება გავრცელდება მთლიანად პლატფორმაში და მსურველებს ექნებათ შესაძლებლობა შემოუერთდნენ მას.

პირველი ჯგუფისა და მედიის წარმომადგენლების ინიციატივით 2013 წლის 29 აპრილს ჩატარდა კონფერენცია „სამოქალაქო კონტროლი უკანონო მოსმენების აღსაკვეთად“. კონფერენციის მიზანი იყო წინა ხელისუფლების მიერ მოქალაქეებზე უკანონო თვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალების განადგურებისა და მომავალში მსგავსი პრევენდენტების თავიდან აცილების მიზნით, საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის ეფექტური მექანიზმების შემუშავების საკითხების განხილვა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გარდა კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრემიერ მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ და სახალხო დამცველმა. მიმდინარე წლის 20 მაისს ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებული სხდომა, სადაც რეალურად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს უკანონო თვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალების განადგურება.

მეორე სამუშაო ჯგუფის აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის ფარგლებში 2013 წლის 22 აპრილს ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა. ქვეჯგუფის წევრების გარდა შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის ინიციატივით მომზადდა განცხადება მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით, რომელსაც ქვეჯგუფის წევრების გარდა მხარი დაუჭირეს პლატფორმის სხვა წევრმა ორგანიზაციებმაც.

თანაკოორდინატორების ინფორმაციით, მესამე სამუშაო ჯგუფი ამზადებს გაერთიანებულ შეხვედრას ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტებთან ენერგეტიკული საკითხების განსახილველად. შეხვედრის მიზანია კომიტეტებისთვის მესამე სამუშაო ჯგუფის და მთლიანად პლატფორმის საქმიანობისა და ხედვების გაცნობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ორგანიზაციულ საკითხებზე. შეხვედრა სავარაუდოდ გამართება 2013 წლის 15 ივნისამდე.

მიმდინარე წლის 20 მაისს ევროკომისიის პროექტის „ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების შესაძლებლობათა გაზრდა“ ფარგლებში მეოთხე სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა ვორქშოპი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. ღონისძიების მიზანი იყო ადმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციების ცოდნისა და შესაძლებლობების გაზრდა იმისათვის, რომ მათ შეძლონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისაკენ მიმართული საქმიანობის ეფექტურად განხორციელება. მეოთხე ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა ასევე კულტურის ქვეჯგუფის, რომლის კოორდინატორი იქნება საერთაშორისო ფონდ ”ლეა“ - ს პრეზიდენტი მარინა სოლომონიშვილი.

დამსწრეებმა იმსჯელეს პლატფორმის წესდებაზე მომუშავე კომისიის საქმიანობაზე. რამდენადაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება ახალი წესდების სამუშაო ვერსიის შეჯერება, გადაწყდა, რომ კომისია გააგრძელებს მუშაობას. საკომისიო განხილვების დასრულების

შემდეგ წესდების სამუშაო ვარიანტი დაიგზავნება ჯგუფებში შემდგომი კომენტარებისა და შენიშვნებისთვის. ახალ წესდებაზე მუშაობასთან დაკავშირებით დროებით შეჩერებული იყო პლატფორმაში გაწვევრიანების პროცესი. ამ ეტაპისთვის შემოსულია საკმაოდ ბევრი განაცხადი და რამდენადაც ჯერ ვერ ხერხდება საწესდებო კომისიის მუშაობის დასრულება, გადაწყდა, რომ საკოორდინაციო საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე განახლდება წევრების მიღების პროცესი.

პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭომ და სამუშაო ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის განხილვაში. დოკუმენტზე იმსჯელეს ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და პარლამენტში, მიღებულ იქნა შენიშვნები სამინისტროებიდანაც. თავმჯდომარის თქმით, შეჯერებული დოკუმენტი უახლოეს მომავალში გავა მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის ფარგლებში მიმდინარე პროექტებზე. უკვე ჩატარდა ეროვნული პლატფორმის პროექტით გაწერილი პირველი ტრენინგები. კოორდინატორებმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად უნდა დაიწყონ მუშაობა პროექტით გათვალისწინებულ მონიტორინგის ანგარიშებზე, რომლებიც უნდა მომზადდეს ნოემბრამდე. თითო ჯგუფი ამზადებს ანგარიშს 5 თემაზე ENP ან EaP მიმართულებებიდან. სასურველია არჩეულ იქნეს კონკრეტული საკითხები და არა ზოგადი თემები. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ჰონორარები იმ ექსპერტებისთვის, რომლებიც იმუშავენ ანგარიშზე (თითო ჯგუფზე 2 -დან 5 ექსპერტამდე). ექსპერტების შერჩევა მოხდება ჯგუფების შიგნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მზადდება ასევე საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც აისახება ჯგუფების და წევრი ორგანიზაციების აქტივობები, ითარგმნება ინგლისურად და გავრცელდება ევროკავშირში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტს, ამ პროექტის ფარგლებშიც ჩატარა ტრენინგები საბიუჯეტო მონიტორინგისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენლის თქმით, პროექტით გათვალისწინებულია პლატფორმისთვის ახალი ვებ-გვერდის შექმნა, ან არსებულის გაძლიერება. საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ სასურველია მოხდეს უკვე არსებული ვებ-გვერდის გაძლიერება და არა ახლის შექმნა.

პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი "Civil Society Facility" მოიგო კონრად ადენაუერის ფონდმა. საქართველოში პროექტის კოორდინატორი იქნება დავით აფრასიძე, ხოლო ადგილობრივი წარმომადგენელი - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია